კვირა, 26 ოქტომბერი 1914 წ.

ფასი 5 კაპ.

# მათრახი

№ 29 იუმორისტ. ჟურნალი



ოსმალეთი შეიკაზმა
თოფითა და ჭინჭილითო
(იხ. მე2 გვ.)

# ოსმალეთი

ოსმალეთი შეიკაზმა
თოფითა და ჯინჯილითო:
(თუ რომ რუსეთს არ ვეჩხუბე
დავიწვები სირცხვილითო!)
თავი მაინც ვისახელო—
გაბედული სიკვდილითო,
სულ ერთია—ვიხოცებით
სიცივით და შიმშილითო.

—

„ზაპასები“ მოვაგროვოთ
თავიანთი საგძალითო!
ვინც რომ ნებით არ გამოვა
მოვიყვანოთ აქ ძალითო!
ვაყიალოთ ქუჩა-ქუჩა
ბენცელით და ბანდალითო,
მტრებსა გული გაუხეთქოთ
შინაური „სკანდალითო“.
ომის მოწინაალმდეგე
ჩამოვკიდოთ ჩანგალითო,
ქალაქები სულ გავსწმინდოთ
უსაქმური ანგალითო;
ჭკუიანი ხალხი არ გვყავს,
მდიდარი ვართ აბდალითო,
მაგრამ თავი მაინც მოგვაქვს
გერმანელთა სარდალითო.

—

ვენაცვალე გერმანიას
ბლომათ მოგვცა ქანქარიო,
სურსათიც შემოგვიტანა —
პური, ჩაი—შაქარიო.
ორი გემი გვიწყალობა
რკინასავით მაგარიო,
რომელიც რომ ზარბაზნებით
შავს ზღვაშია ჩამდგარიო.
გერმანიის ყუმბარებით
მიწას გააქვს ზანზარიო,
ლამის არის განადგურდეს
მთელი ქვეყნის ბაზარიო.

—

მეტი ძალა რომ მოგვეცეს
შევიერთოთ პერსიაო,
უთხრათ: ძმებო, რა კი მტერზე
ხმალი გაგვილესიაო
ასეთ დროზე გულადობა
მეომართა წესიაო,
მოდი, ჩვენთან იმოქმედეთ
ბევრათ უკეთესიაო.
შენ თავზე კოთხო გახურავს
და მე კიდევ—ფესვიაო!
მტერს ადვილად დავამარცხებთ
თუ რომ შემოგვესიაო“.

—

ოსმალეთი შეიკაზმა:
თოფითა და ჯინჯილითო,
გაიძახის—კავკასია
გადვიაროთ სირბილითო!
ამის მომსწრ[illegible]—რუსის ჯარი
იხოცება სიცილითო
და იძახის: —ოსმალეთო
დაისჯები სიკვდილითო.

ოხუნჯი.

# თათარი ჩხუბობს

აღსრულდა ის, რასაც ელოდებოდა კავკასიის მცხოვრებნი და მუდამ დღე შიშს განიცდიდა, ჩვენმა მოსაზღვრე ოსმალეთმაც ჩაერია საერთო ომში და ეპირება კავკასიის საზღვრების გადმოლახვას.

რასაკვირველია, ეს არ არის ადვილი საქმე, რასაც თვით ოსმალეთიც კარგად გრძნობს. ის მთელი სამი თვის განმავლობაში ემზადებოდა, აგროვებდა ლაშქარს, დიდძალი იარაღი და სურსათი შეიტანა გერმანიამ სტამბოლში და ყოველგვარ დახმარებას აძლევდა, მაგრამ საწყალი ოსმალეთი ფეხს იდგამდა, ვერ ბედავდა ომის დაწყებას.

რაც დრო გადიოდა თან და თან ძლიერდებოდა გერმანიის გავლენა ოსმალეთში და ამიტომაც 16 ოქტომბერს, ნებით თუ უნებლიეთ აიძულეს ოსმალეთი ვერაგულათ მოქცეულიყო რუსეთის წინააღმდეგ. ის სრულებით მოულოდნელად მიადგა ფლოტით შავი ზღვის მშვიდობიან, გაუმაგრებელ ქალაქებს და ზარბაზნები დაუშინა, რამაც გამოიწვია რუსეთის ყველა ქვეშევრდომთა აღელვება და მთავრობის მიერ ომის გამოცხადება.

დღემდე თუ შორს ხდებოდა სისხლის ღვრა და მხოლოდ მკრთალად გვესმოდა იქიდან მოსული საშინელი ცნობები, დღეს შესაძლებელია თვალით ვიხილოთ და თვით განვიცადოთ ჩვენი კუთხის აწიოკება.

დადგა ჟამი მამაცობისა და წინდახედული მოქმედების. მცხოვრებლების შიში და სიმფრთხალე თვით მამაც მებრძოლსაც გულს გაუტეხს და მტერს წაათამამებს. უნდა მშვიდათ და აუღელვებლათ შევხვდეთ ყოველივე გასაჭირს, დაცემულს მეგობრული ხელი გავუწოდოთ და წამოვაყენოთ. ასეთი განსაცდელის დროს საჭიროა მთელი სოფლები ერთსულოვნობით განიმსჭვალოს, როგორც ერთი ოჯახის მცხოვრები. არ არის საჭირო სწრაფად შორს სოფლებში გახიზვნა, უნდა დაიცალოს მხოლოდ ის ადგილები, რომელიც გადიქცევა ბრძოლის ასპარეზად.

კავკასიის დამცველი ჯარი ისე სუსტი არ არის, რომ ოსმალეთის სათარეშოთ გახდეს ჩვენი მხარე, შეიძლება რომელიმე გაუმაგრებელ საზღვრებზე დროებით გადმოვიდეს მტრის ჯარი, მაგრამ დარწმუნებული უნდა ვიყოთ ისევ მალე განიდევნება და ღირსეულადაც დაისჯება ჩვენს მიწა-წყალზე შემოსეული მტერი.

მცხოვრებლებს არ მოელის ისეთი აწიოკება, როგორც წარმოდგენილი აქვს ზოგიერთებს დღეს ძველი დრო აღარ არის. მეომარი ძალა ებრძვის მეომარ მოწინააღმდეგეს და მშვიდობიანი მცხოვრებნი უვნებელნი დარჩებიან თუ ისინი თავისი მოქმედებით არ გამოიწვევენ არევ დარევას და აღელვებას.

მტკიცედ, ამაყად შევხვდეთ განსაცდელს, ნუ დავეცემით სულით და წყნარად ვადევნოთ თვალ-ყური ჩვენს მომავალ ბედს.

მათრახოსანი.

# სულის ნაწყვეტნი.

(სადღეისო კუპლეტები)

უკუღმართია ქვეყანა,
ჩარხი უკუღმა ტრიალებს,—
ხან მაღლა აგვწევს ცხოვრება,
ზეცამდის აგვაფრიალებს;
ხან გვისვრის უფსკრულისაკენ,
ჩაგვძირავს, გაგვატიალებს;

წარგვიკვეთს სასოს, იმედსა,
გვატირებს აგვალრიალებს;
ხან მოგვიქუჩებს ფიქრებსა,
კვლავ იმედს დაგვიტრიალებს;
ხან გვათბობს, ხანაც სიცივით
გაგვთოშავს, აგვაწრიალებს.—

—

გუშინ თუ დარი დარობდა,
მზე გვინათებდა ციდანა
და ნაკადული ხალისით
გვირაკრაკებდა მთიდანა;
სიო იმედის ზღაპრებსა
გვიჩურჩულებდა ტყიდანა
და დაჩაგრული მცირე ძმა
ამოსვლას ლამდა ჰიდანა;
გულს გვიტოკებდა მომავლის
ამოძახილი ზღვიდანა
და ხსნის იმედი ისმოდა
გულ ჩათხრობილი კლდიდანა.

—

დღეს ჩამობნელდა, ღრუბლები
შავათ მოქუჩდა მთაზედა;
წინა მორბედი მეხისა
ელვა იკლაკვნის ცაზედა.
ნაკადულები სიბრაზის
ქაფ მოდებული თავზედა
წარღვნას უქადის ქვეყანას,
რისხვით მოიწევს ბარზედა.
მთა-ველათ დაძრწის ქარ-ბუქი
მუსრს ავლებს, სდგება ყალყზედა;
ზღვა შფოთავს, რღვევის სურვილით
კლდეს ზვირთს ახხეთქებს ძალზედა.

—

ტყეს მუსრავს მკაცრი გრიგალი,
წამოიქოჩრენ გორები.—
წითლათ იღებვის ხევ-ხუვნი,
დუდუნებს სისხლის ტბორები.
მიწა ვერ იტევს დახოცილთ,
სამშობლოს დანაშორები
ბევრი ჩაიკრა შავს მკერდში
რჩეულნი, გულის სწორები.
ვინ იცის რომელს წალეკავს
ზღვა რისხვით ანაგორები,
ან ვინ დარჩება სამუდამოთ
მიწასთან განასწორები..

—

ვინაც სცდილობდენ სხვა ერთა
თვის სასარგებლოთ წველასა,
ის მართებულათ ისჯება
მოეხსენება ყველასა
დღეს ქირის ოფლში იწურვის,
ჩუმ-ჩუმათ სხვას სთხოვს შველასა.
ვინღა გაუწვდის მაშველ ხელს
ფლიდს, გაიძვერა მელასა?
ერთიღა დარჩა აბდული
უმართლოთ სისხლის მსმელასა
და რომ გაბედოს მან შველა
თავსვე აუტეხს ბელასა...

—

ზამთარი წამოგვეპარა,
სუსხი სწვავს არე-მარესა;
ჩაუქრა ცისკარს სხივები
მოკაშკაშ-მოელვარესა.
ცელ მომართული სიკვდილი
დაძრწის ყოველსა მხარესა,
არ ინდობს არვის, არც ბოროტს,
არც ტკბილათ მოუბარესა.
გაუძლებს კაცი ყოველ ჭირს
იგემებს უფრო მწარესა;
ნეტავ ვიცოდე ქვეყანა
არ ებრალება მთვარესა?—

—

მალე გაქრება ზამთარი,
ზაფხული დაგვიბრუნდება;
ზამთრის სუსხი და სიმკაცრე
ჩაკვდება, გაგვიხუნდება.
კვლავ შეიმოსვის ბუნება,
მთა-ველი აბიბინდება.
მოზღაპრე სიო ხალისით
კვლავ ტკბილათ ასისინდება;
განთიადისა მორბედი
ცისკარი ამობრწყინდება
და გული ნაღვლით მოსილი
კვლავ შვებით აღიღინდება ..

—

უკუღმართია ცხოვრება,
იქით და აქეთ იხრება;
გუშინ სხვა იყო, დღეს სხვაა,
ხვალე სულ სხვა რამ იქნება.
დრო უკვდავია, სხვა ყველა
ძველი ახალით იცვლება.—
ჩემთვის ერთია,— დღეს, ხვალე
ხომ დასასრული იქნება,
მაგრამ ჩემ მიერ ყოველთვის
მაინც ეს სიტყვა ითქმება:
რომ დასაყრდნობი მშვიდობის
სამუდმოთ ჩამოიქნება.—

**გ ლადოშვილი.**

---

# სურათი

გალმა-გამოღმა, მაღლა თუ ძირსა,
ხმელთა თუ ზღვათა პირის-პირათა—
თავს მოუყრია სტიქიურ ძალებს
ერთი-მეორის გასაგმირათა...

ორივ პირისპირ მეომართ მხარე
წასულს მეომრებს სახლში ელიან—
იქ, იქ-კი ველზე შესამუსრავად
ერთურთისათვის ხმალნი ელვიან...

და ბრძოლის შემდეგ ბრძოლისა
ველზე
მრავლადა ჰყრიან დაკოდილები:
ზოგისა ძმები, ზოგისა ქმრები,
ზოგისა კიდევ ღვიძლი შვილები...

და იქითაცა და აქეთაცა
ამ მწარე ხვედრით კვნესით სტირიან;
მხოლოდ ვეშაპსა, გაუძღომელსა,
ეს ეამება, ეს უხარიან!..

**მიხ. ნინოწმინდელი.**

---

* * *

სუსხმა შემოჰკრა შემოდგომისამ
დასჭკნა ნალკოტი ამწვანებული,
ნისლმა შემოსა მაშვრალთ სამყარო
კვნესის მიდამო შეწუხებული...

—

უიმედობის სიო სისინებს
სისხლით ირწყვება უმანკო ველი,
შთანთქას გვიქადის შავი დემონი
თავს დაგვდგომია სიკვდილის ცელი...

—

ყოფნის კვარცხლბეკი ძალით იმოსვის
მებრძოლთა მკლავებს ყვავნი ჰკორტნიან,
არ სჩანს მაშველი ამ წუთისოფლის
შვების ვარსკვლავნი შორს კამოკრთიან...

—

მუდამ ჩაკრული დავდივარ ობლათ
გაბრაზებული შევსცქერი წყვდიადს,
მინდა გავიგო ნეტავ ვერას დროს
ვეღარ ვიხილავ ნეტარ განთიადს?!.

**ხ. ვარდოშვილი.**




კავკასიის ქარტა
ნიშნების ახსნა
ქალაქები და სიმაგრეები
მდინარეები
რკინ. გზა
საზღვრები
შავი ზღვა
აზოვის ზღვა
ყირიმი
ასტრახანი
ბაქო
თბილისი
ქუთაისი
ბათუმი
ყარსი
ერევანი
ერზრუმი
სტავროპოლი
ეკატერინოდარი
ნოვოროსიისკი
სევასტოპოლი
ოდესა
ხერსონი
ნიკოლაევი
ეკატერინოსლავი
ხარკოვი
პოლტავა
კიევი
ნოვოჩერკასკი
სოხუმ-კალე
ელიზავეტპოლი
ვლადიკავკაზი
თავრიზი
რეშტი

## გურული სცენა.

(1914 წლით გულმოსული გოგოელა).

— მოშვავდი და დეიქეცი წრეუნდელო წელიწადო! დედავ. მოგსრია და გინახავს კაცს მაი?! წვიმს, წვიმს, წვიმს, არა აქვს საშველ-სახიდებელი. ერთი აგი მაცოდინა. ზღვაი არ ამეიწურა ნეტაი ამდენი წვიმით? მარა რა ამოწურავს იმას მარტუაი გირგოლეთის კიდეზე რომ ზღვაია ოცი წელიწადი იწვიმოს ეყოფა. ვაი დედავ, მაინც დაქცეულა ჩვენი ოჯახი... წვიმს და ქე დეილუპა ყანები, ქე მეხოცება შიმშილით ბალნები, ერთი მეორეს ვერააყენებს იმისთანები, თვარა შინ სად მყავს მოსწრებული, ავსტრიაა თუ რაცხა მატლია—იქინეია ვაინაში. დედა ნუ წამიწყდება რაცხა დასახედავი კია ამდენი წვიმები: შიმშილობა, მილიონი კაცების ხოცვა-ჟლეტა; კიდევ მაი რა ჯანდაბაა, რომ ვერავინ დოხტურმა გამოძებნა, რომ ქათმები მაინც დარჩენილიყო ცოცხალი. დედავ, გიერია რაცხა და ქე ააწარმალებია ფეხი ქათმებს, ახვებს და ბატებს. მერე ბალნებს მირჩენდა, თითო ჰაჰუტას ყოველ დილით იღებდა ქალი იმისთანა ძრიახა ჰყავდა და მეორე დღეს ქე ვნახე ფეხებ გაჭიმული. მაი რაცხა ჭირია კაცზე რომ არ გადიარდეს ვინ ჩივა. ახლა ასაყარათ ვარ მორთული მარა სად წევიდე? ყორიფელი, ყორიფელია და მაი ხუცები რომ არ მასვენებენ გიგინახავს კაცო მაი? აგინიზა არც მაი უსაშველო ვაინია და არც გლახა წელიწადი. ყოველთვის უნდა გამოშიმო საკურთხით? ახლა დრამის გულიზა, არ დააძინებს ღმერთი, არ სძინავს თურმე, რა ქნას არ იცის. მევიდეს ჩემსას დრამა ფულიზა ვინმე და მე ვიცი მაშვინ! რათ მინდა სიცოცხლე, ჩემი სასიკეთო შვილები ცოცხალია თუ კვდარი არ ვიცი. სანამ შავიდლე მომესწრებოდეს, ვინც ამ გლახა წელიწადსაც არ მაყენებს, გაუევიტან სახლიდან მაჭახელას და ერთ ტყვიას კი ვწებებ კაკალ შუბლში. მერე რაც უნდათ იგი მიყონ.

კრონოსი.

## ბრძოლის ველზე.

ვილგელმმა ერთს დილაზედა
ინახულა თავის ჯარი
და განცვიფრდა, რადგან ხედავს
გენერალი იქ არ არი!

—

სულ-გრძელობით მოიკითხა
მან, ჯარისა წინამძღოლი,
ეახლენ და მოახსენეს —
მძინარეა, კარავთ მწოლი.

—

როცა ადგა გენერალი
და გაიგო ეს ამბავი,
შიშისაგან ელდა ეცა,
სიმწრით გაიქნია თავი.

—

დაღვრემილი, ცოცხალ-მკვდარი
ელის მეფის ბრძანებასა
სიკვდილით რომ არ დასჯიდნენ
ყველაფერს იკისრებს სხვასა...

—

მაგრამ დახეთ მოწყალება,
მიღებული მეფისგანა!
ტანჯვის ნაცვლად გენერალსა
„ბუდილნიკი“ გაუგზავნა!..

—

ზედ ეწერა: „ამ საათსა
საღამოს მომართვა უნდა
და დილაზედ გააღვიძებს
ვინც რომ არის ძილის გუდა.

კოწია.

## ოსმალეთის ძალა

### ჯარი.

ხმელეთზე ოსმალეთის სამხედრო ძალას ამ ჟამად შეადგენს 101 დივიზია. დივიზია შესდგება სამ პოლკისაგან; პოლკიც ოთხ ბატალიონისაგან. სრული მობილიზაზიის დროს ოსმალეთს ჰყავს 1,212,000 კაცი ქვეითა ჯარი, 48 პოლკი კავალერია და 38 პოლკი არტილერია— 1,618 ზარბაზანი; ამას გარდა კიდევ საინჟენერო, საპერების, ტვირთის საზიდი და სხვა სპეციალური საჯარო ნაწილები. მთლად ოსმალეთს შეუძლია გამოიყვანოს 1,400,000 ჯარისკაცი და ოფიცერი.

ამ რიცხვიდან 43 დივიზია შეადგენს მუდმივ არმიას, დანარჩენი 58 დივიზიას წარმოადგენენ სათადარიგო ჯარი, რომელიც საერთოდ უფრო სუსტია, ვიდრე მუდმივ არმიის ჯარისკაცნი.

ოსმალეთს აგვისტოში მცირე აზიაში ჰყვანდა სულ 6 კორპუსი: არზერუმი ვილაიეთში—მეცხრე, მეათე და მეთერთმეტე, ბაღდადისაში —მეთორმეტე და მეცამეტე და იმენისაში—მეთოთხმეტე კორპუსი.

მაგრამ აგვისტოს შემდეგ მდგომარეობა შეიცვალა. მთლად გადმოყვანა თავის ჯარებისა ევროპის და ეგეოსის ზღვის საზღვრებიდან ოსმალეთს არ შეეძლო, რადგანაც შიში აქვს ინგლის-საფრანგეთის ფლოტისა, რომელიც ამჟამად დაკეტილ დარდანელის სრუტესთან სდგას და რომელსაც შეუძლია ყოველთვის ჯარი გადმოსხას ოსმალეთის ნაპირზე. ოსმალეთს აგრეთვე შიში აქვს საბერძნეთისა, რომელიც უეჭველია, ჩაერევა ომში, როგორც კი ოსმალეთი ომს დაუწყებს რუსეთს.

ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ რუსეთის წინააღმდეგ ოსმალეთს შეუძლია გამოიყვანოს არა უმეტეს 700,000 კაცისა. ამათ შორის მარტო ნახევარი იქნება კარგი ჯარი, დანარჩენი კი სუსტები.

რასაკვირველია, ყველა ეს გარემოება კარგად გათვალისწინებული აქვს რუსეთს, რომელიც ელოდება წამს, როდესაც დარდანელის სრუტეს სტამბოლითურთ ხელთ იგდებს.

მომავალი მალე დაგვანახვებს, თუ რა საშინელი ნაბიჯი გადასდგა ოსმალეთმა.

### ფლოტი.

ოსმალეთის ფლოტს შეადგენენ: სამი ჯავშნოსანი „იესულიე“, „ტორგუდრეისსი“, „ბარბაროსსა-ჰაირედინი“ ორი კრეისერი ჯავშნიანი ბანით „ჰამიდიე„ და „მეჯიდიე“, 11 საესკადრო ნაღმოსანი და ცხრა კიდევ უბრალო ნაღმოსანი. ამ ბოლო დროს ხომ, ყველამ ვუწყით ამ სამხედრო გემებს მიემატა ორი ჯავ-

შნიანი კრეისერი „გებენ“ და „ბრესლაუ“, რომელნიც ვითომ მიჰყიდა ოსმალეთს გერმანიამ. ნახსენები „ტორგუდ რეისსი“ და „ბარბაროსსა-ჰაირედინაც“ გერმანული გემებია; მათ ადრე ერქვათ „კურფიურსტ ფრიდრიხ-ვილჰემი“ და „ვეისენბურგი“. ისინი აგებულნი არიან 1890 წელს; ასე რომ ცოტა მოძველდენ. მათ შეიარაღებას შეადგენს 6 თერთმეტ-დიუიმიანი ზარბაზანი და რვა 4 დიუიმიანი; მათ აგრეთვე აქვთ ორი სანაღმო აპარატი. საათში გადიან 28 ვერსტს იწონის 11,000 ტონნას, ანუ 670,000 ფუთზე მეტს.

„მესუდიე“ აგებულია 1874 წელს და 1901 წელს გადაკეთებულია ხელახლა იტალიაში იწონის 10,000 ტონნას, ანუ 610,000 ფუთზე მეტს. შეიარაღებულია ორი 9, 2 დიუიმიანი ახალი ტიპის ზარბაზნით. ძველ რკინის ჯავშანს აქვს 12 დიუიმი სისქე. საათში ესეც 28 ვერსტს გადის.

2 კრეისერი. რომელთაც ბანი ჯავშნიანი აქვთ, ახალი ტიპის გემებია. საათში გადიან 39 ვერსტს. თვითეულ ამ გემის შეიარაღებას შეადგენს: ორი ექვს-დიუიმიანი და რვა 4, 8 დიუიმიანი ზარბაზანი. თითქმის ყველა ნაღმოსანი კარგი სისწრაფისაა და კარგადაც შეიარაღებულია.

„გებენი“ და „ბრესლაუზე“ კომანდა გერმანელებისაგან შესდგება, მხოლოდ ესენი ოსმალეთის ფორმაში არიან ჩაცმულნი.

„გებენი“ იწონის 1,403,000 ფუთს ანუ 23,000 ტონნას; პირველად ზღვაზე გამოსულა 1911 წელს. შეუძლია გაიაროს საათში 49 ვერსტი. შეიარაღებას მისას შეადგენს ათი 11 დიუიმიანი და 12 6 დიუიმიანი ზარბაზანი. ჯავშნის სისქე ბორტზე და კოშკებზე 11 დიუმია: კომანდა შესდგება 1,010 კაცისაგან.

„ბრესლაუ“ იწონის 274,500 ფუთს ანუ 4,500 ტონნას. აშენებულ 1911 წ. საათში გადის 46 ვერსტამდის. შეიარაღებას მისას შეადგენს 12 ოთხდიუმიან ზარბაზანი; ბორტის ჯავშანი ოთხდიუმიანი სისქისაა, კომანდა შესდგება 373 მეზღვაურისაგან.

---

# სცენისებური

(უძღვნი გომახურლებს).

**ბეჟუკი.** ძმაო ხარიტონ მითხარი
რა დაგემართა ესაო,
„ერთობის დუქნის“ მომგონეს
ღმერთიც კი გაუწყრესაო.
ცოლ-შვილს ვფიცავარ აბაზი
მე არ მევაჭროს დღესაო
გავჩერებულვარ დუქნის წინ
დავმგზავსებივარ ხესაო.

**ხარიტონ.** მართალსა ამბობ ბეჟუკი
სწორეთ მოგვწყვიტა წელია
ტყუილა ყოფნაც მომწყინდა
მუშტარს ველი და ველია.
მაგრამ არავინ არ მოდის
დაძველდა საქონელია,
ისევლე კვერცხით ვაჭრობას
მოდი, მოვკიდოთ ხელია....

(ამდროს გაღმიდგან გამოდიან: კოსტა, ანდრო და სერაპიონი. სამთავეს სასოწარკვეთილება ეტყობა. ხუთივე ერთად გადასწყვეტს მოიხმონ კიპია მეფართლე. კიპია საჩქაროდ მოდის).

**კიპია.** რას დაღვრემილხართ ძმანებო.
ჩამოგიყრიათ ყურები,
ხომ ხედავთ? მე რო არ ვტირი
ამაყად გავიყურები.
თუ გაძლიერდა „იგინი“
მოხვეჭა ბლომათ ფულები
მერმეთ ფართალსაც შეიძენს
მეც თქვენებრ დავილუპები...

**კოსტა.** ხო და სთქვი აბა რაიმე
მოვნახოთ რამე წამალი...

**სერაპიონი.** ჩუმათ, არვინ გაგვიგოს
ნელა სთქვი... (ცოტა დაბალი.

**კიპია.** მხოლოდ-ღა ერთი იმედი
ჩვენ უნდა გვქონდეს ისაო:
რომ ყველა საქმეს ანდობენ
ბიკოს და დომენტისაო,
და თქვენ მითხარით იგენმა
ვაჭრობის რა იცისაო?
მიმიცემია იმათთვის
ვადა სულ ერთი თვისაო.

(კიპია მეფართლის სიტყვამ სულ ყველა კარგ გუნებაზედ დააყენა და თავ-თავის დუქნებისკენ გასწიეს).

ს. გომახური. 21 სექტემბერი.

## ეპილოგი.

გავიდა ოცი დღე. კიპია მეფართლის წინასწარმეტყველება შესაძლებელია ახდეს. გამგეობა არავითარ ყურადღებას არ აქცევს დუქნის წინ მსვლელობას. ბიკო და დომენტი ნავაჭრ ფულს მუთაქებში ინახვენ; დუქანი ცარიელდება. ნოქარი და „კასირი“ უსაქმობის გამო გაზეთის და წიგნაკების კითხვას დაეწაფებიან და სწრაფათ ვითარდებიან. ბიკო ხშირად ედავება ნოქარს, (რაზედ არც მან იცის) მაგრამ გაამტყუნებს თუ ვერა მტყუანი ბიკო—მართალს და განვითარებულ ნოქარს ეს მკითხველმა ახსნას.

(გაგრძელება „ბუდიტ“)
თუ „დუქანი“ არ წაიღო თაგვებმა კუდით.

**შარი-შური.**

ს. გომარუხი 11 ოქტომბერი 1914 წ.

---

# გამოცანები

(სუფსისათვის)

1

მუდამ ღინჯათ მიდის მოდის
შავგრემანი, სათნო პირი,
ყველას უყვარს, ყველა უყვარს
არც ქე არის გასაკვირი.
გულ-უხვი, ღვთისგან სვიანი,
ქვეყნის ერთგული, ქებული,
შაბათის დაკარგვისათვის
გამხდარა დაღონებული!..

2

ახოვნობით ლილიპუტი,
აზროვნობით ბუმბერაზი!
თავი მოაქვს როგორც წმინდა,
უცოდველი, სათნო, ნაზი!
ბევრი საქმე ხელთ უპყრია,
შეგნებულად სახავს ზოგი,
მაგრამ მე კი, როგორც ვიცი—
ბრიყვია და დემაგოგი.

**ჩაბუხ.**

---

**მათრახი** გამოდის დრო-გამოშვებით. ხელის მოწერა არ მიიღება. იმ ადგილებში სადაც „მათრახი“ არ მიდის, შეიძლება გაეგზავნოს მსურველთ გასასყიდათ რამდენსაც მოითხოვს $3^1/_2$ კ. ვინც წინ-და-წინ გამოგზავნის ღირებულებას. წერილები და ფული გამოიგზავნება „შრომის“ სტამბაში თ. ბოლქვაძის სახელზე.

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან. სტამბა შრომა. რედაქტორ-გამომც. თ. ბოლქვაძე.

ი. 12/1
ეროვნული ბიბლიოთეკა

ვილჰელმი II.



კარგი ხილია, თუ მკვახე არ გამოდგა.

ფრანც-იოსები.




მე ხომ მივდივარ საიქიოს, ჩემს სამეფოსაც
თან ჩავიყოლებ.

ოსმალოს სულთანი მაჰმ. V.




„რა ძვირფასი საჩუქარია! მთელ ჩემს სამეფოს ვანაცვალებ ამ ერთ გემს.



მომყევი მეგობარო!..



მომყევი მეგობარო.